ეკონომიკური განვითარების,
]საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #37

2024წ. 14 ივნისი 11.30 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა.ხუჯაძე, ლ.დავითაშვილი,
ნ.რუხაძე, მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ოთარ ჩიტიძე - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, უფროსის მოადგილე

არჩილ გორდულაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

თანამომხსენებელი:

ლევან მიქავა - სამსახურის უფროსის მოადგილე

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244, ფართობი - 2545 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
   N:12-03241593-03 07.06.2024წ.
2. ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
   N:12-032416496-03 13.06.2024წ.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-91 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი“
   N:12-032416527-03 13.06.2024წ
4. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი
   N:12-032416361-03 12.06.2024წ.
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
   N:12-032415132-03 30.05.2024წ.
6. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი
   №12-032415132-03 30/05/24

1. მოისმინეს:

სსსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ ჩიტიძემ სხდომაზე წარმოადგინა „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების

რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244, ფართობი - 2545 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.0-მდე, რაც გულისხმობს 10 სართულიან შენობაზე 2 სართულის დამატებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. განკარგულების შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა - 312 936.60 ლარით.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

2. მოისმინეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ არჩილ გორდულაძემ დეპუტატებს წარუდგინა ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

გასცეს კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებულ შემდეგ პირებზე: 1) სპარტაკ თეთრაშვილი (პ/ნ: 01009008450) – 120000 (ას ოცი ათასი) აშშ დოლარი. 2) ნაირა ხუციშვილი (პ/ნ: 01001005521) – 115600 (ას თხუთმეტი ათას ექვსასი) აშშ დოლარი. 3) მზია ჟორჟოლიანი (პ/ნ: 53001026300). ვალდებულების შესრულებისათვის გადასაცემ თანხად განისაზღვროს - 25000 (ოცდახუთი ათასი) აშშ

დოლარი. 4) თამარ ჩაკვეტაძე (პ/ნ: 01008031965). 5) დავით ბაჩიაშვილი (პ/ნ: 01024017837). 6) ქეთევან ალიმბარაშვილზე (პ/ნ: 01003014823) – 7 402 ევრო.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

3. მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ კომისიის წევრებს გააცნო „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-91 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი".

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-91 დადგენილების პირველი პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტების შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბებას

„გ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე:

გ.ა) სამორინეს თამაშობებზე – 300 000 ლარი კვარტალში;

გ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე - 300 000 ლარი კვარტალში;

გ.გ) ტოტალიზატორების თამაშობებზე - 300 000 ლარი კვარტალში.

დ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის საფუძველზე ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - 20 000 ლარი კვარტალში

პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-91 დადგენილების „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ცვლილება შედის დადგენილების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც: აღნიშნულ ქვეპუნქტში ხორციელდება ტერმინოლოგიური/რედაქციული ხასიათის ცვლილება. კერძოდ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობების ნაცვლად, მოსაკრებლის გადახდა განისაზღვრება სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე, ასევე ზუსტდება სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშობების სახეობები და მოსაკრებლის გადახდის სუბიექტებად განისაზღვრება: სამორინეს თამაშობები, სათამაშო აპარატების თამაშობები, ტოტალიზატორების თამაშობები, რაც შეეხება მოსაკრებლის ოდენობას უცვლელი რჩება და შეადგენს 300 000 ლარს კვარტალში.

ცვლილება ასევე შედის დადგენილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც: აღნიშნულ ქვეპუნქტში ხორციელდება რედაქციული ხასიათის ცვლილებები და ტერმინი: „ნებართვით“ იცვლება ტერმინით - „ნებართვის საფუძველზე“, ხოლო ტერმინი - „მოწყობილი“, იცვლება ტერმინით - „ორგანიზებული“, მოსაკრებლის ოდენობა რჩება უცვლელი და აღნიშნული ქვეპუნქტის შესაბამისად, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის საფუძველზე ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე მოსაკრებლის რაოდენობა შეადგენს -20 000 ლარს კვარტალში

აგრეთვე, პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად:

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

ბ) დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) პროექტის ინიციატორის მოსაზრებით სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

4. **მოისმინეს:**

ქ.თბილისის ბიუჯეტში ცვლილების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, რომლის თანახმად სხვა შემოსავლების ნაწილში იზრდება პროცენტები - 1 490,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 490,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 009 879,6 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე,

მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 6 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01

01 13) - 160,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 400,0 ათასი ლარით, გზების მოვლაშეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 60,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 500,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 336,0 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 200,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) - 100,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) ქვეპროგრამის ასიგნებები - 80,0 ათასი ლარით, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) პროგრამის ასიგნებები - 50,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 10 36) - 200,0 ათასი ლარით.

ამასთან, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების ჩამონათვალს ემატება შემდეგი ახალი პროგრამები: თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 38) - 2 000,0 ათასი ლარით, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 39) - 1 300,0 ათასი ლარით.

მცირდება საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) ქვეპროგრამის ასიგნებები - 160,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 400,0 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნებები - 236,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 700,0 ათასი ლარით, "მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) (კოდი 10 23) პროგრამის ასიგნებები – 700,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 24) - 2 000,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 25) - 3 000,0 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამაში, კერძოდ: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 3 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4881 ერთეულით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 809 844,7ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 739 744,7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 918 661,8 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 225 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 30 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი – 20 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი – 643 661,8 ათასი ლარი. გრანტები 508 909,9 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 465,3 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 444,6 ათასი ლარი; - კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 500 000,0 ათასი ლარი; - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 8 000,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 312 173,0 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 14 540,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 70 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 75 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 110 000,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებელი - 18 194,8 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები – 24 438,2 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 009 879,6 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 1 521 210,4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა – 453 630,3 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 35 038,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 218 534,3 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 383 630,3 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 453 630,3 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 70 000,0 ათასი ლარი. 3 ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს (200 134,9) ათას ლარს, მათ შორის: – ფინანსური აქტივების კლება – 200 134,9 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 200 034,9 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (35 038,9) ათას ლარს, მათ შორის: – ვალდებულებების კლება 35 038,9 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 165 096,0 ათასი ლარით.

თავი შეიკავა: გ.შარაშიძე

5. მოისმინეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ არჩილ გორდულაძემ დეპუტატებს გააცნო „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 68-ე მუხლი პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს შორის ქვესასესხო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 მაისის №24.917.1043 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესათანხმებლად წარმოდგენილ იქნა „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და მასზე დართული დოკუმენტაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (IBRD) შორის „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტთან“ დაკავშირებით, 2024 წლის 15 მაისს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას (საოპერაციო #54124) 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ევროზე; საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (IBRD) შორის „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტთან“ დაკავშირებით 2024 წლის 15 მაისს ხელი მოეწერა საგრანტო შეთანხმებას (საოპერაციო #54124) 4 000 000 (ოთხი მილიონი) ევროზე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (IBRD) შორის 2024 წელს ხელი მოეწერა პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას; შპს „თბილსერვის ჯგუფს“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (IBRD) შორის 2024 წელს ხელი მოეწერა პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას, დაიდება ქვესასესხო ხელშეკრულება. აღნიშნული ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ევროს, სესხის სახით სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

თავის მხრივ, თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სესხის ხელმისაწვდომობას კომპანიისთვის.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო დადებითი რეკომენდაცია.

თავი შეიკავა: გ.შარაშიძე

6. მოისმინეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ არჩილ გორდულაძემ დეპუტატებს გააცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 68-ე მუხლი პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-100 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს შორის ქვესასესხო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 29 მაისის №24.914.1044 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესათანხმებლად წარმოდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით ქვესასესხო

ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და მასზე დართული დოკუმენტაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ: საქართველოს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (IBRD) შორის „თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტთან“ დაკავშირებით, 2024 წლის 20 თებერვალს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას 26 000 000 (ოცდაექვსი მილიონი) ევროზე; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (IBRD) შორის 2024 წლის 20 თებერვალს ხელი მოეწერა პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას; შპს „თბილსერვის ჯგუფს“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (IBRD) შორის 2024 წლის 20 თებერვალს ხელი მოეწერა პროექტის განხორციელების ხელშეკრულებას დაიდება ქვესასესხო ხელშეკრულება. აღნიშნული ქვესასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, ფინანსთა სამინისტრო, სასესხო შეთანხმების საფუძველზე და სასესხო შეთანხმების პირობების გათვალისწინებით, გადასცემს თბილისის მუნიციპალიტეტს სასესხო შეთანხმებით საქართველოსთვის გათვალისწინებულ თანხას 26 000 000 (ოცდაექვსი მილიონი) ევროს, სესხის სახით სასესხო შეთანხმებით, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

თავის მხრივ, თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სესხის ხელმისაწვდომობას კომპანიისთვის.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო დადებითი რეკომენდაცია.

თავი შეიკავა: გ.შარაშიძე

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს: ლ.არველაძე, გ.შარაშიძე, ნ.რუხაძე, მ.კაკაურიძე

მოწვეულმა სტუმრებმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიამ განხილული ყველა საკითხი შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე